143

01021222100475775 1
99განც/21

7698212289107

www.ecd.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

17/05/2022 წელი **ქ. ბათუმი**

შესავალი ნაწილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - ხათუნა ბოლქვაძე

სხდომის მდივანი – ცირა ქარცივაძე

განმცხადებელი: - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

წარმომადგენელი: - ლია გაბაიძე

განმცხადებლის მოთხოვნა: ქონების უპატრონოდ ცნობა;

აღწერილობითი ნაწილი:

1. განმცხადებლის მოთხოვნა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო განცხადებით მოითხოვს უპატრონოდ იქნას ცნობილი და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება -"გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8).

განმცხადებელი თავისი მოთხოვნის დასაბუთების მიზნით განმარტავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 2009 წლიდან ფლობს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, კერძოდ: - -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8). ავტომანქანა აჭარის ა.რ. საკუთრებად რეგისტრირებული არაა. მისი მესაკუთრის დადგენის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გაატარა რიგი ღონისძიებები, მაგრამ მიუხედავად მცდელობისა ვერ შეძლო დაედგინა მისი მესაკუთრის ვინაობა. -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) ირიცხება გურამ აბულაძის საკუთრებად. საქმის მასალებით დგინდება, რომ გურამ აბულაძე გარდაცვლილია. მან ავტომანქანა გაყიდა თავის სიცოცხლეში, .მაგრამ მისი შემძენი ცნობილი არაა.

განმცხადებელი მოითხოვს სატრანსპორტო საშუალების უპატრონოდ აღიარებას და აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში გადაცემას.

2. ფაქტობრივი გარემოებები

2.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ფლობს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას. კერძოდ:
-ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8).

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- აჭარის არ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება.
- ფოტოსურათები.

2.1.2. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია ავტომანქანა - "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნული ადასტურებს მას, რომ სატრანსპორტო საშუალება ვინმეს საკუთრებად რეგისტრირებული არაა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- . სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომართვა.

2.1.3. ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) რეგისტრირებულია გურამ აბულაძის სახელზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს მომსახურების სააგენტოს მომართვა.

2.1.4. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ გურამ აბულაძემ კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება "გაზ 20 პობედა"ძარა: - "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) გაყიდა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- ჟუჟუნა შალიკაძის მომართვა.

2.1.5. სატრანსპორტო საშუალება -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) შემძენი ცნობილი არაა. მას სათანადო საფუძვლის გარეშე ფლობს აჭარის არ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- აჭარის არ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება.

2.1.6. აჭარის არ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სურვილი აქვს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება აღიარებული იქნას უპატრონოდ და საკუთრებაში გადაეცეს აჭარის არ რესპუბლიკას, რისთვისაც განცხადებით მომართა სასამართლოს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- აჭარის არ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება.

2.1.7. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 05 ნოემბერის განჩინებით მიიღო გადაწყვეტილება გაზეთში უპატრონოდ ასაღიარებელი სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ. ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში" (შპს ,,თანადგომა - 1 გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი"(ს/კ 202411808) ,,გაზეთი რესპუბლიკა). ამავე განჩინებით დაინტერესებულ პირებს განემარტათ, რომ თუ მათ დასახელებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ გააჩნიათ პრეტენზია, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 05 ნოემბრის განჩინება.

2.1.8. ინფორმაცია გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა 2022 წლის 09 თებერვლის N22(9360) ნომერში. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების შესახებ -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) სასამართლოსათვის არავის არ მოუმართავს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა".

2.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები
2.2.1. საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

3. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლომ გაანალიზა დადგენილი გარემოებები, მივიდა დასკვნამდე, რომ უპატრონოდ უნდა იქნას ცნობილი და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში არსებული

სატრანსპორტო საშუალება-ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8).

4. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს:
ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ;
ბ) განმცხადებლის ვინაობას;
გ) იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს;
დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

სასამართლომ იხელმძღვანელა რა ზემოთ აღნიშნული მუხლით 2021 წლის 05 ნოემბერს მიიღო განჩინება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) შესახებ ინფორმაციის გაზეთში გამოქვეყნების თაობაზე. აღნიშნული განჩინების თანახმად გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში" 2022 წლის 09 თებერვლისN22(9360) ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია ქონების შესახებ და დაინტერესებულ პირებს განემარტათ, რომ პრეტენზიის არსებობისას თავიანთი უფლებების შესახებ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის განმავლობაში უნდა განეცხადებინათ სასამართლოში;

მითითებულ ვადაში ქონებაზე პრეტენზია არავის განუცხადებია.

5.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლით ,,თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ნივთზე თუკი მისი მითვისება კანონით არ არის აკრძალული, ან თუ მითვისებით არ არის დარღვეული იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოძრავი ნივთი უპატრონოდ ითვლება, თუკი უწინდელი მესაკუთრე საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობას მიატოვებს".

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ სატრანსპორტო საშუალება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მფლობელობაშია 2009 წლიდან. სატრანსპორტო საშუალება უწინდელმა მესაკუთრენ მიატოვა. მას აღარ მოუკითხავს

სატრანსპორტო საშუალების ბედი და არც სასამართლოში არ განუცხადებია ამ ნივთების მიმართ პრეტენზია.

5.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არა ჰყავს მესაკუთრე, ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას;

სასამართლო საქმეზე შეკრებილ, ზემოთ დასახელებულ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და განმცხადებლის ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ ერთმნიშვნელოვნად დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ განცხადებაში მითითებული ქონების, კერძოდ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების: -ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8) მფლობელობას ახორციელებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. სატრანსპორტო საშუალებათა მესაკუთრის დასადგენად გაწეულია ყველა ზომა, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ვინაობა. მესაკუთრეს ამ ნივთის საკუთრებასთან დაკავშირებით სასამართლოსათვის არ მოუმართავს, რაც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს მასზედ, რომ ქონებას არ ყავს მესაკუთრე და ეს ქონება მესაკუთრის მიერ მიტოვებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლება, რის გამოც აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

6. საპროცესო ხარჯები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქ. სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ლ" პუნქტით უდაო წარმოების საქმეზე გადასახდელი ბაჟი შეადგენს 50 ლარს. საქ. სსკ-ის 310-ე მუხლის ,,ე" პუნქტით ქონების უპატრონოდ ცნობის საქმე უდაო წარმოების საქმეს განეკუთვნება. შესაბამისად საქმეზე გადასახდელი ბაჟის ოდენობაა 50 ლარი. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი :

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 249-ე, 257-ე, 259[1]-ე, 310-ე, 311-ე, 337-ე და 341-ე მუხლებით

გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

148

განცხადება დაკმაყოფილდეს;

2. უპატრონოდ იქნას ცნობილი და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - ავტომანქანა "გაზ 20 პობედა" (ძარა: 79246, ძრავი LJ 38864, შასი: 108144, გამოშვების წელი 1953, ფერი: ყავისფერი 1/8). შესაბამისად აღნიშნული ავტომანქანა აღირიცხოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ. ქუთაისი ნიუ-პორტის ქ. №32), დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეზე ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე **ხათუნა ბოლქვაძე**

ასლი დედანთან სწორია
შესულია ელექტრონულ ქალაქში
ბათუმის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრატორი:
24 08 2021 წ.